



## საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

14 მაისი 2013 წელი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №131

#### უძრავ ქონებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად:

### გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

**მუხლი 1.** ქ. ოზურგეთში დაბა ურეკში მდებარე 140 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის მიემართოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ს, რათა განახორციელოს თანდართული მასალების მიხედვით მითითებულ უძრავ ქონებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

**მუხლი 2.** სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ში შესაბამისი ქმედების განხორციელებაზე უფლებამოსილება მიენიჭოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურისტს გიორგი ხუროშვილს (პირ.№33001054782).

**მუხლი 3.** ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

**მუხლი 4.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14)

**მუხლი 5.** ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე..

საკრებულოს თავმჯდომარე

ალეკო მამეშვილი